ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, 1918 წ. მარტის 14 (27) № 56

წელიწადი მეოთხე

ოთხშაბათი, 1918 წ. მარტის 14 (27)

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ., რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უბეჭდავად გამოგზავნილი მასალა უფასოდ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კ ო ნ ტ ო რ ა

გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 13 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მ. 50 კ. (ცალკე № 30 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით: 15×2—10 მანეთი, 20×2—13 მანეთი, 30×2—15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ღრმად დამწუხრებულნი დედა ბარბარე ქურდიანისა, მეუღლე ისაკი, ძმები: დავითი, პეტრე, ლევანი და ივანე ქურდიანები; დები: ანნა, ნინო და მართა; რძლები: ნინო, ქეთო, ნინო და სოფიო ქურდიანები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

თამარა მიხეილის ასულის

ჩოფიკაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. წირვა ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში.—დაკრძალვა ოთხშაბათს პეტრე პავლეს სასაფლაოზე. (გამოსვენება დილის 9 საათზე. საკუთარ ბინიდან, ჩუღურეთის შესახვევი № 14).

4—1518—3

გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე ელენე დავითის ასული გაბაშვილისა, ძმა ნიკოლოზ ივანეს ძე გაბაშვილი მეუღლით და შვილებით, დები მარიამ ივანეს ასული აბდუშელისა, თამარა ივანეს ასული ნაცვლიშვილისა, ცოლისდები: სოფიო დავითის ასული ჯაფარიძისა და ევა დავითის ასული გედევანიშვილისა შვილებითურთ ტრაგიკულად გარდაცვალებას

ალექსანდრე ივანეს ძე

გაბაშვილისას

პანაშვიდი ყოველ დღე დილით 12 საათზედ და საღამოთი 6 საათზედ თავის ბინაზედ: ვარაზის უბანის ქ. № 7.

1—1521—1

იოსებ რევაზის ძე და ბარბარე გიორგის ასული ფალავანდიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს ტრაგიკულად ბოროტმოქმედების ხელით დახოცვას სოფ. ოსიაურში საყვარელ შვილების

არჩილ და ნინიჩკასას

პანაშვიდი დღეს შუადღის 1 საათზედ, ქაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა ხუთშაბათს 15 მარტს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში.

1—1524—1

სოფიო რევაზის ასული ჯავრიშვილისა შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ტრაგიკულად დახოცვას სოფელ ოსიაურში საყვარელი

არჩილ და ნინო (ნინიჩკა)

ფალავანდიშვილებისას

პანაშვიდი დღეს შუადღის 1 საათზედ ქაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 15 მარტს, ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ.

1—1524—1

შალვა რევაზის ძე და ელენე იოსების ასული ფალავანდიშვილები შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრაგიკულად დახოცვას სოფელ ოსიაურში საყვარელი

არჩილ და ნინო (ნინიჩკა)

ფალავანდიშვილებისას

პანაშვიდი დღეს შუადღის 1 საათზედ ქაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ.

1—1524—1

ქ. გორი

ექიმი

კ. მ. ელიოზიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება ძველ ბინაზე (ერთობის ქუჩა სახლი ზაალიშვილისა).

(10—1522—1)

ჯარის კაცი

ანდრონიკე მელიტონისძე

გაბუნია

მსახურობდა ასტრახანის რევოლიუციონურ ბატალიონში. ეს ბატალიონი უკვე დაშლილია და მესამე თვეა, რაც არა ჰსჩანს. ვთხოვ პატივცემულ მკითხველებს თუ იციან რამე მის შესახებ გვაცნობოს ასე: ბანძა (სენაკის მაზრა)

მელიტონ ესტატეს ძე გაბუნიას.

2—2

ფინანსების მობილიზაცია

მობილიზაცია გამოცხადდა და ზოგიერთს კუთხეში კიდეც დასრულდა. ხალხი ერთსულოვნად გამოეხმაურა გარეშე მტერს და საომრად განემზადა. ჩვენ არ ვიცით, როგორ მიმდინარეობს მობილიზაცია საქართველოს გარეშე. ხოლო ქართველი ერი თავის მამულიშვილურ მოვალეობას პირნათლად ასრულებს. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია.

ხალხმა სთქვა თავისი სიტყვა და ეხლა ჯერი მთავრობაზე მიდგა. მთავრობამ უნდა დაარაზმოს ის ხალხი, რომელიც მობილიზაციამ შეჰკრიბა. მთავრობამ უნდა გადააქციოს ეს მასალა ნამდვილ სამხედრო ძალად. და თუ მან ეს ვერ შესძლო, ამის დანაშაული ხალხს არ დაეკისრება. მთავრობამ უნდა ჩააცვას ამ ჯარებს, უზრუნველჰყოს ისინი სურსათით, იარაღით და ყოველივე სამხედრო მასალით. თუ მთავრობამ ეს ვერ შესძლო, უქმად ჩაივლის ის საუცხოვო სულიერი განწყობილება, რომელიც ამ ჟამად ჰსუფევს მობილიზაციით შემოკრებილ მასებში. ეროვნული აღფრთოვანება ჩაჰქრება, მორჩილება და თავგანწირულება თანდათანობით განელდება, თუ სამშობლოს დასაცავად დარაზმული ჯარები ჩვენ არ უზრუნველვყავით ყოველივე სარჩოით, სამხედრო მოკაზმულობით და სურსათით.

ამ პირველს ხანებში ჩვენს მთავრობას ალბად ყოველივე მოეპოვება, მაგრამ ჩვენ ჯარებს ვადგენთ არა ერთი და ორი დღისთვის. ჩვენ არ ვიცით როგორს მიმდინარეობას მიიღებს ჩვენი საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარება. ასეთს მძიმე და რთულს მომენტში, ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ქართველს ერს უნდა ჰყავდეს საიმედო სამხედრო ძალა.

ჩვენმა მთავრობამ ყოველგვარი ზომები უნდა მიიღოს, რომ შეკრებილი ჯარები უზრუნველჰყოს ყოველივე საჭირო მასალით. ჩვენთვის არ შეადგენს საიდუმლოებას ამ მთავრობის დღევანდელი ფინანსიური გასაჭირი, მაგრამ ჩვენ არ ვიცით ღებულობს ის მომავლისთვის რაიმე რადიკალურს ზომებს, თუ არა.

ჩვენი მთავრობა დღემდის ძველი ფინანსიური ნასუფრალით იკვებებოდა. კავკასიის ფრონტზე დარჩენილი სურსათი და სამხედრო მასალები, რომლის დიდს ნაწილს მან ვერ უპატრონა და დაიტაცეს, ქაღალდი და საღებავი ბონების საბეჭდავი—აი ის ფინანსიური წყაროები, რომლითაც დღემდის საზრდოობს ჩვენი მთავრობა. მაგრამ ასეთი ფინანსიური პოლიტიკა სრულს ფინანსიურს გაკოტრებას გვიმზადებს ახლო მომავალში და ეს ამასთანავე იქნება გაკოტრება პოლიტიკური და სამხედრო.

თუ აქამომდე გაურბოდა ჩვენი მთავრობა გაუქმებული ფინანსიური აპარატის ამოძრავებას, დღეიდან მას სხვა გზა არ აქვს. ყოველგვარი მთავრობა სახელმწიფოსთვის საჭირო სალარს ხალხიდან ჰკრებს და ჩვენ მთავრობას, რაც უნდა სოციალისტური და დემოკრატიული არ უნდა იყოს ის, სხვა გზა არ მოეპოვება. რასაკვირველია, ხალხისაგან გადასახადების შეკრების წესი შეიძლება შეიცვალოს. შესაძლოა ეს ფინანსიური ტვირთი ხალხზე უფრო სამართლიანად გავანაწილოთ, მაგრამ შეუძლებელია ხანგრძლივად არსებობდეს ისეთი მთავრობა, რომელსაც თვითონ არავითარი სალარი არ გააჩნია და ხალხიდანაც ვერაფერს ჰკრებს.

ამიერ-კავკასიის მთავრობამაც, თუ მას უნდა თავისი არსებობის გაგრძელება, იძულებული იქნება თვით ხალხიდანვე შეუდგეს ფინანსიური სალარების შეკრებას.

ჩვენ მთავრობას ჰქონდა კიდევ ერთი მეტად საიმედო საშუალება თავის ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ის სახაზინო, საუფლისწულო და მსხვილ მემამულეთაგან ჩამორთმეული მიწები, რომელიც ჩვენი მთავრობის განკარგულებით სადგილ-მამულო კომიტეტების ხელში უნდა გადავიდეს და მშრომელს გლეხობას საიჯაროდ მიეცეს, ჩვენს მთავრობას უნდა დაეყო ნაჭრებად და გაეყიდა ხალხზე სრულს საკუთრებად. ეს ხაზინას დიდს სალარს მისცემდა და ხალხისთვისაც სასურველი იყო, ვინაიდან ის იმ ქაღალდის ფულებით, რომელიც მას დღეს ვერაფერზე მოუხმარია, მიწას შეიძენდა სამშვილიშვილოდ და სრულს საკუთრებად.

მაგრამ ამ გადასახადების შეკრების დროს მაინც უნდა გამოვარკვიოთ—არსებობს ამიერ-კავკასია, როგორც სახელმწიფოებრივი ერთეული, თუ არსებობს მხოლოდ საქართველო. აქამომდე შინაური წესრიგის დამცველიც ქართველი იყო და ეხლა ასევეა საერთო საზღვრების დაცვაში. ნუ თუ ასე უნდა იყოს ყოველთვის და ყოველგან?

თუ უწერია არსებობა ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივ ერთეულს, უნდა შეიქმნას და არსებობდეს ამიერ-კავკასიის ჯარი, ამიერ-კავკასიის ხაზინა, საერთო, საშინაო და საგარეო პოლიტიკა. და თუ ეს ასე არ მოხერხდა ქართველმა ერმა სადამდის უნდა უპირისუფლოს იმ უცნაურ არსებას, რომელსაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკას უძახიან?

საზავო მოლაპარაკების გამო

თითქმის მთელი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ნიკოლოზ პირველმა ინგლისელ დიპლომატიასთან ლაპარაკში ოსმალეთს „ავადმყოფი ადამიანი“ უწოდა. ამ ხნის განმავლობაში პეტერბურგის მთავრობას ერთხელაც არ განშორებია ოტტომანური იმპერიის დანაწილების აზრი. ორი მხრით სწარმოებდა აგრესიული რუსეთის თავდასხმა. ევროპის კონტინენტზე ოსმალეთმა რუსის ჯარისა და დიპლომატიის ძალდატანებით დაჰკარგა თითქმის ყველა თავისი სამფლობელოები: სერბია, საბერძნეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ბოლოს მაკედონია და კუნძულები. მაგრამ ბალკანეთის გზით რუსეთმა მაინც ვერ მიაღწია თავის პირდაპირ მიზანს: დიდი მაჰმადიანური სახელმწიფოს სრულს დაშლას და კონსტანტინეპოლისა და სრუტეების ხელში ჩაგდებას. განთავისუფლებულმა ქრისტიანულმა ერებმა ჩქარა დაივიწყეს აბეზარი მზრუნველის ამაგი, კერძოდ ბულგარეთმა რუსეთის მოკავშირის ან ვასალის როლს საკუთარი იმპერიალისტური პოლიტიკის წარმოება ამჯობინა.

მაგრამ რუსეთი მეორე მხრივ უფრო უშუალოდ ემუქრებოდა ოტტომანურ იმპერიას: როგორც პოლიტიკური ისე სტრატეგიული თვალსაზრისით კავკასიური ფრონტი ბოლო დროს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ვიდრე ბალკანეთი. ევროპის გზით რუსის ჯარს საუკეთესო შემთხვევაში კონსტანტინეპოლის და ოსმალეთის აზიაში გადასვლა შეეძლო; კავკასიის გზით ის პირდაპირ შუაზე გაჰჭრიდა და გაანადგურებდა სულთანის სამფლობელოს.

როგორც ცნობილია, ეგრედ წოდებული მცირე კავკასიონი და სომხეთის პლანი ზევიდან დაჰყურებს წინა აზიას. როგორც პაულ როორბახმა სწორედ აღნიშნა, სომხეთის სიმაღლეებიდან ლაშქრისათვის ადვილია ანატოლიისა და შუა მდინარისაკენ დაშვება, ხოლო ანატოლიისა და შუამდინარიდან სომხეთის მთებზე ასვლა ძალიან ძნელია, ანატოლიაში კი ოსმალური ტომის მთავარი მასსა სცხოვრობს. ამ პროვინციის დაკარგვა და ოსმალეთის სრული მოსპობა ერთი და იგივე იქნებოდა. სხვათა შორის, ამით აიხსნება, რომ კონსტანტინოპოლის მთავრობა ყველაზე ნაკლებ დამთმობი სომხურ საკითხში იყო. არც რუმელიისა, არც მაკედონიისა, არც არაბეთისა ან სირიის ჩამოშორება მისთვის ისე საშიში არ იყო, როგორიც სომხეთის ავტონომია. მით უმეტეს, ოსმალეთი ვერ მოითმენდა, რომ ვანისა და არზრუმის ვილაეთში უცხო ძალა დამკვიდრებულიყო. მაგრამ ამ საფრთხის თავიდან აცდენა შეუძლებელი იყო, სანამ სომხის ერის ერთი ნაწილი რუსეთის იმპერიას ეკუთვნოდა და რუსის ჯარი სარიყამიშსა, გუმბრისა და ყარსში იდგა. რუსის ჯარის აქედან გარეკვა და კავკასიონის იქით გადატყორცნა ოსმალეთის ყოფნისა თუ არ ყოფნის საკითხს წარმოადგენდა.

თუ დაქანცული ოსმალეთი დიდს მსოფლიო ომში ჩაერია, ეს ნათლად შეგნებული ინტერესების კარნახით მოხდა და არა ავანტიურის სიყვარულით. ბრძოლის შედეგებმა ჯერ ჯერობით სავსებით გაამართლა ენვერ-ფაშისა და თალაათ-ფაშის გერმანოფილური პოლიტიკა. ხალხის ჯანმრთელობის საუკეთესო საწინდარ საერთაშორისო შეჯიბრებაში, ამ შეჯიბრებაში აღმოჩნდა, რომ ავადმყოფი ადამიანი რუსეთი ყოფილა და არა ოსმალეთი. ისტორიის ირონიამ ინება, რომ ოსმალეთი დღეს პრეტენზიებს აცხადებს სწორედ იმ სახელმწიფოს მემკვიდრეობაზე, რომელმაც პირველად შეადგინა მისი დანაწილების პროექტი. რუსის სოციალისტურმა მთავრობამ ბრესტ-ლიტოვსკში სცნო და დააკმაყოფილა ეს პრეტენზიები, რუსის ჯარი მშვიდობიანად გასცილდა კავკასიონის ქედს. თუ ამიერ-კავკასიას რუსეთის სახელმწიფო საზღვრებში დარჩენა სურს, მას არავითარი უფლება არა აქვს, რომ ოსმალეთის სურვილებს წინააღუდგეს.

მაგრამ როგორც საქართველოს, ისე ადერბეიჯანის წარმომადგენლებმა სეიმში აშკარად განაცხადეს, რომ მათ აღარ სურთ რუსეთის საზღვრებში დარჩენა. ამიერ-კავკასია ფაქტიურად უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ამით ოსმალეთის საერთაშორისო მდგომარეობა იცვლება და მისთვის ისეთი მნიშვნელობა აღარ აქვს ანატოლიის ჩრდილო-საზღვრების გამაგრებას. რასაკვირველია, ჩვენმა საზავო დელეგაციამ უნდა ხელი აიღოს იმ მუხლის დაცვაზე, რომელიც ოსმალური სომხეთის ავტონომიას მოითხოვს. სომხური საკითხის მოგვარება ოსმალეთის შინაური საქმეა, ჩვენ არ უნდა ჩავერიოთ მეზობელი ერის შინაურ საქმეებში. მაგრამ თავის მხრივ ოსმალეთმაც უნდა სცნოს, რომ მისთვის წინანდელისებურად აუცილებელი აღარ არის ყარსისა, არტაანისა და მით უმეტეს ბათუმის ციხე-სიმაგრე. პატარა, ნახევრად მაჰმადიანურ ამიერ-კავკასიის აგრესიული პოლიტიკის წარმოება არ შეუძლია ოსმალეთის წინააღმდეგ. პირიქით, ამიერ კავკასიის რესპუბლიკისა და ოტტომანური იმპერიის პოლიტიკური ინტერესი მოითხოვს, რომ ეს ორი სახელმწიფო შეკავშირდეს, რათა თავი დაიცვან რუსეთის შესაძლებელი თავდასხმისაგან.

ოსმალეთის ინტერესი მოითხოვს, რომ საქართველოსთან ცხოველი აღებმიცემობა გააჩაღოს. ამ მიზნისთვის თვით ოსმალეთს მრავალი საუცხოვო ნავთსადგური აქვს: ტრაპიზონი, სინოპი, სამსუნი, კონსტანტინოპ[illegible] [illegible]რნა, ბეირუთი, ალექსანდრიაში, სორია. საქართველოს კი, ბათუმი და ფოთი გააჩნია. იქ, დღეით ოსმალეთი ეკრძილი, რაფერს შეიძენს, ხოლო მოხვედრის საუკეთესო გარეშე კერგადაუჩინავს: ეს კი მოუძნებთვის იქნება საზარალ-საპირო საქართველოსთვის, სადაც ოლქისა და არა იქ, სადაც თომის დათმობინდება ჩვენი ბელია.

რად

სა-

კიდევ ამიერ-კავკ დამოუკიდებლობა.

განვლო იმ დრომ, როდესაც ამ კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხ თეორიულ მსჯელობის საგანს შ გენდა. აჩქარებული ტემპით მიმ მა ცხოვრებამ ეს საკითხი მთელი რიგ-სიგანით დასვა მკვიდრთა წი და მის დაუყოვნებლივ პრაქტიკულ განხორციელებას მოითხოვს.

ნურავინ იფიქრებს, რომ ზრიგი პოლიტიკური ხელ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ სა თველობის შექმნით აპირობ რ სეთთან კავშირის შეწყვეტას რეულ სახელმწიფოს დაარსე ცდარი იქნება აგრეთვე, ვითომ მთავრობა განსაკუთრებით უწევდა ხალხის სურვილს, მის ტიკურ მისწრაფებას და უმხედველ ნიადაგს ერთა თვითგამორკვევის ყარებას. ადგილობრივ სრულ ბიან და დამოუკიდებელ მთავ მოწყობას ჰქონდა დროებითი, წარმავალი ხასიათი და იარსებებდა იმდე ხანს, რამდენ ხანსაც რუსეთში მართველობის სათავეში იდგებოდნენ სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკები. ყვე ლა დარწმუნებული იყო, და ჩვე მენშევიკები მით უმეტეს, რომ სულ ახლო მომავალში შეიძლებოდა დამფუძნებელ სრულიად რუსეთის კრების მოწვევა და იმ შემთხვევაში, რასაკვირველია, მათი პოლიტიკური მოქმედება-მოღვაწეობა გადავიდოდა ჩვენ ლებისამებრ რუსეთის ცენტრებში. ა აზრსა და რწმენას ჩვენი ერთი ბანაკი პოლიტიკური მოღვაწენი შეურყევლა ატარებდენ უკანასკნელ ხანამდე, ხო ლო 10 თებერვლის სეიმში მიღებულ სოციალ-დემოკრატების რეზოლუცია ზემოაღნიშნულ განწყობილების უტყუარი საბუთია.

ამიერ-კავკასიაში ცალკე მთავრობის შედგენას რომ არ ჰქონია სეპარაციის ნიშან-წყალი, ეს იქიდამაც სჩანს, რომ ამიერ-კავკასიის მართველობამ უარჰყო ჯერ გერმანეთის მიპატიჟება ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე და შემდგომ ოსმალეთის გარკვეული წინადადება სეპარატიულ საზავო მოლაპარაკების გამართვის შესახებ. ყველას ეხსომება განგაში სასახლეში მობინადრებულთა პრესის მიერ ატეხილი, რომელიც ჰქადაგებდა იმ შეხედულებას, რომ მხოლოდ რუსეთის დემოკრატი სთან ერთად შესაძლებელია საერთა შორისო გამოსვლანი ომისა თუ ზავის სახით.

ჩვენ დავინახეთ, რა ნაყოფი მოიტანა რუსეთის დემოკრატიასთან ერთ უღელში შებმამ. ბრესტ-ლიტოვსკში რუსეთის დემოკრატიის უკიდურეს სოციალისტურ წარმომადგენლებმა ამიე კავკასიის მთელი სამხრეთ-აღმოსავლ თის ნაწილი შესთავაზეს ოსმალე იმპერიას ამიერ კავკასიის დემ ტიის და მთელი ხალხის დაუკითხავად მის სურვილების წინააღმდეგ. სახელმ წიფო უფლების მიხედვით, თუ გნებავთ, ეს აქტი არ არის მოკლებული იურიდიულ მნიშვნელობას. მართლაც რა მოხდა? სასტიკად დამარცხებული [illegible] იძულებული

…ს საზავო მოლაპარაკება გვიმა… [illegible] ისტორიას არ ახსოვს მაგალითი, მტრისაგან შემუსვრილ სახელმწიფოს [illegible] მის ტერიტორია… [illegible] გამარჯვებულის მოთხოვნებზე, რადგან წინააღმდეგობის [illegible] ომის განახლების მოლოდინი. ის მკაცრი მოთხოვნილებანი [illegible] კატეგორიული ფორმით [illegible] გერმანიის დიპლომატიამ, [illegible] ცხადია, შეურაცხჰყოფს [illegible] სახელმწიფოს თავმოყვარეობას [illegible] და მიუღებელი, [illegible] შეთხზული ჯა… [illegible] თავმოყვარეობას [illegible] ვერ მოუპოვებ…

ამიერ კავკასიის მმართველობა აცხადებს ახლა, რომ იგი სრულებით არ სცნობდა რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობას და, მაშასადამე, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება მისთვის არ არის სავალდებულო,—კიდევ მეტი, [illegible] უფლება საერთაშორისო. ჩვენ [illegible] ამასაც. თუ რომელიმე [illegible] მოწყვეტილ სახელმწიფოებში რჩება [illegible] ამისა, ცენტრალურ [illegible] განცხადებებს არ ემორჩილება [illegible] წინააღმდეგ აშკარად მონოპოლისმაგვარ საქციელს ამჟღავნებს [illegible]. შეუძლებელია პრაქტიკულად ძლიერ პოზიციაში იმყოფებოდეს, [illegible] მან უნდა [illegible] ნაბიჯი და სხვა დიდებით, [illegible] არის ერთად არ [illegible] სახელმწიფოში [illegible].

[illegible] დაადგა ამიერ-კავკასიის [illegible] მთავრობა? იგი [illegible] გაურბოდა ამიერ კავკასიის საზღვრის ნათლად და გარკვეულად გა… მაშინაც კი, როცა საერთაშორისო მდგომარეობა და სახელმწიფოს კრიზისი მოითხოვდა ამიერ-კავკასიის სახელმწიფოდ გამოცხადებას, ჩვენი მთავრობა მაინც იძლეოდა ბუნდოვან პასუხს და კატეგორიულად დასმულ კითხვას გვერდს უხვევდა.

ჩვენ ვერ ვისაყვედურებთ იმას, რომ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას ოსმალეთის გადამეტებულ პრეტენზიების [illegible] ფაქტორის მნიშვნელობას ვაძლევთ; გვიმტკიცებენ, რომ მადა-აშლილ სახელმწიფოსათვის სულ ერთია, სუვერენულ ამიერ-კავკასიას ჩამოაჭრის ტერიტორიას, თუ ამ ოპერაციას მოახდენს რუსეთის განუყოფელ ნაწილში. მადა საზოგადოდ ყველას დაუშრეტელი აქვს, და ყოველ-დღიური გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ თვით ფაქტიურად დაშლილი სახელმწიფოც არ არის მოკლებული ამ თვისებას, მაგრამ, ჩვენის აზრით, დამოუკიდებლობის დროზე გამოქვეყნებას უცილობლად უპირატესობის მიცემა შეეძლო ამიერ-კავკასიისათვის საზავო კონფერენციაზე [illegible] გამორკვევაში.

ცხადია, რომ დღევანდელ მეტად სახიფათო მდგომარეობის მიზეზებს გარეშე არ უნდა დავეძებდეთ: ოსმალეთი ცდილობს სახელმწიფო საზღვრების უზრუნველყოფისათვის, ხელსაყრელ საეკონომიო-სავაჭრო და სტრატეგიულ პირობების შექმნისათვის—ეს ბუნებრივი მოვლენაა და ყველასათვის ადვილი გასაგებია; რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ-ბოლშევიკურმა მთავრობამ ნაღდით რომ მიგვყიდა ოსმალეთს, ესეც მისახვედრია, რადგანაც თვისი სამშობლოს მოღალატენი და დამნაწილებელნი მოკავშირეებად არასოდეს ვარგებულან.

მაშასადამე, მთელი პასუხისმგებლობა იმათზე გადავა, ვინც ამიერ-კავკასიის მზრუნველობა იკისრა, ვინც ხალხთა ბედის გადაჭრა მონოპოლიად გაიხადა, ვისაც შესწევდა ძალა და უფლებაც ჟამად გადაედგა გაბედული ნაბიჯი და ჩვენი მხარისათვის მიეკუთვნებინა ის უფლება-მოსილობა და ნამდვილი სახელმწიფოებრივი სუვერენობა, რომელიც ამიერ-კავკასიის განკერძოებულ გამოსვლას მიანიჭებდა საერთაშორისო სავალდებულო მნიშვნელობას და ოსმალთა მადასაც ძლიერად [illegible].

რ. ინგილო.

ქართული პრესა

„ერთობის“ მეპრესეს გაუზვიადებია ჩვენი გაზეთიდან ამოღებული ერთი წინადადება, რომლის შინაარსი მას ვერ გაუგია და ყოველ დღე ამ სტრიქონებს იმეორებს. ამას წინად ჩვენ შევეხეთ ჩვენი მთავრობის მოღვაწეობას და აღვნიშნეთ, რომ მას ჯერ-ჯერობით არავითარი დემოკრატიული რეფორმა არ განუხორციელებია და ხალხს მხოლოდ დაპირებებით ჰკვებავს. შევეხეთ კერძოდ მიწის საკითხს და გამოვთქვით აზრი, რომ ამ საკითხშიაც ჩვენს სოციალისტურს მთავრობას რეალურად არაფერი გაუკეთებია და ვერც გააკეთებს რამეს, თუ ძველი გზით იარა. ჩვენ სხვათა შორის ვწერდით:

„ხალხმა იცის, რომ ის იმაზე მეტს მიწას ვერ მიიღებს, რაც ადგილობრივ მოიძებნება და ადგილობრივ რა მიაპოვება, ისიც მან კარგად იცის. მან აგრეთვე კარგად იცის, რომ ამ ჩამორთმეულს მიწებს დაუყოვნებლივ უნდა გაუჩნდეს ახალი მებატონეები, რომელნიც მას საფუძვლიანად დაეპატრონებიან, თორემ ამ მიწების საერთო მფლობელობაში დატოვება, რომ გლეხი ისევ მოიჯარადრე იყოს და [illegible] მან მემამულის ნაცვლად სამადგილ-მამულო კომისიებსა და კომისრებს აძლიოს, არ არის საკითხის გადაჭრა და საზარალოა ხალხისათვის. როდესაც საქმე ისეთ მეთაურებთან გვაქვს, რომელთაც საქმეზე ძირიელ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ და მხოლოდ თავის პროგრამის გამართლებას ცდილობენ მხოლოდ, ჭეშმარიტად უმჯობესია ამ საქმეს კანონმდებლობისა და სახელმწიფოებრივი რეფორმის ეტიკეტი მოვაშოროთ და დროზე მივანდოთ სტიქიონს, რომელიც ასეთ პირობებში ბოლოს და ბოლოს მაინც დაიპყრობს მას. ასევეა სხვა საკითხებიც—ერობა იქნება ის, მილიცია, თუ სასამართლო და სკოლა. ხალხი ჯერ კიდევ მოლოდინშია და მას ჰგონია, რომ მას ყოველგვარ არა ჩვეულებრივ რამე ბედნიერებას უმზადებენ. როცა ის მიხვდება, რომ მისი ხელმძღვანელები ვერაფერს მას ხელშესახებს ვერ აძლევენ და მხოლოდ დაპირებით ჰკვებავენ, ის იძულებული იქნება თავისი ძალღონით მოჰკიდოს მართვა-გამგეობის მოწყობას, წესრიგის აღდგენის და სამართლისა და კანონის დამყარებას. რასაკვირველია ამ გზით ხალხი აუარებელ შეცდომებს ჩაიდენს, მრავალჯერ წაიქცევა ფეხს, სანამ განვითარების ფართო გზას მიაგნებს. მაგრამ ეს აუცილებელი უბედურობაა, რომელსაც ხალხი თავიდან ვერ აიცდენს, თუ მას შესაფერისი ხელმძღვანელები და მეთაურები არ ჰყავს.

„ერთობის“ მეპრესემ მორიგ ნომერში სტრიქონებიდან ერთი წინადადების მესამედი ნაწილი ამოიღო; წინადადების დასაწყისი დაფარა, წინადადების დასასრულიც მიმალა და თვით შუა ნაწილის ადვილად გასაგები აზრი ან გადაამახინჯა, ან და ვერ გაიგო. დარბაისელმა მეპრესემ ამ გზით მიიღო „მოწოდება“, რომლითაც, ნუ იტყვით, „საქართველომ“ მიმართა ქართველ ერს. „ერთობის“ არაქიმედი მის მიერ აღმოჩენილ „მოწოდებას“ ამის შემდეგ ყოველ დღე იმეორებს. აი დღესაც ასე ვარჯიშობს დაუღალავი მეპრესე:

„ამოვწეროთ ხელახლა „საქართველო“-ს ეს მოწოდება, რომელიც მიწის რეფორმას ეხება: აი ეს მოწოდებაც:

„ჭეშმარიტად უმჯობესია ამ საქმეს კანონმდებლობისა და სახელმწიფოებრივი რეფორმის ეტიკეტი მოვაშოროთ და დროზე მივანდოთ სტიქიას“.

ეს არის მოსაზრების გამოთქმა? ეს ხომ მოწოდებაა იმ კანონის წინააღმდეგ, რომელიც სეიმმა მიიღო“.

ასე დამახინჯებულადაც რომ ავიღოთ ეს სტრიქონები, მაშინაც ვერ აღმოვაჩენთ მასში ვერავითარ მოწოდებას ვერც კანონისა და ვერც მთავრობის წინააღმდეგ, მთელი წინადადება კი, ეხება მთავრობის უძლურობას მიწის საკითხის გადაჭრაში და გამოსთქვამს მოსაზრებას, ბოლოს და ბოლოს ავაცალოთ კანონმდებლობისა და სახელმწიფოებრივი რეფორმის ეტიკეტი და მივანდოთ სტიქიონს, „რომელიც ასეთ პირობებში ბოლოს და ბოლოს მაინც დაიპყრობს მას“.

აზრი აქ ნათლად არის გამოთქმული და თუ აქ რამე „მოწოდებაა“, ის მოუწოდებს არა ხალხს, რომ მან სეიმის კანონები არ შეასრულოს, არამედ მთავრობას, რომ მან გაითვალისწინოს თავისი მოღვაწეობა და რეფორმები მოახდინოს კანონიერის გზით, ან და შეიგნოს თავისი უძლურება და ყოველივე ეს ხალხს მიანდოს. როგორც ჩანს, ჩვენს მეპრესეს სხვისი აზრის გადამახინჯება უფრო ეხერხება, ვინემ მისი გაგება.

ტრაპიზონის საზავო კონფერენცია

ტრაპიზონი მარტის 21.

ოსმალთა დელეგაციის უკანასკნელი დეკლარაცია

ჩვენ მოვისმინეთ ამიერ-კავკასიის დელეგაციის დეკლარაცია და პროტესტს ვაცხადებთ, ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით, იმ პუნქტის გამო, რომელიც გამოხატავს ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევის სურვილს. ჩვენ ეს დეკლარაცია მიგვაჩნია იმ მიზნის შეუფერებლად, რა მიზანსაც მისდევს დელეგაცია. ვინაიდან მდგომარეობა აქამდის წინასწარ მსჯელობით საკმაოდ გამოირკვა, ჩვენ იძულებულნი ვართ ვაცნობოთ ჩვენს მთავრობას ეს უკანასკნელი წინადადებაც და ამიერ-კავკასიის დელეგაციის შეხედულებაც, რომელსაც ჩვენ ეხლა წავიკითხავთ და რომლის პასუხსაც მოკლე ვადაზე ველით.

ამიერ-კავკასიის დელეგაციისადმი

საიმპერატორო მთავრობამ ზავი შეჰკრა რუსეთის რესპუბლიკის მთავრობასთან მთელ რუსეთის ტერიტორიისათვის სავალდებულო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით. გვაქვს რა მხედველობაში, რომ იმ ჟამად კავკასიის მთავრობა ჯერ კიდევ არ იყო შემდგარი და რომ ამ ჟამადაც მისი ფორმა ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, თუმცა მან მიზნად რესპუბლიკურ კონფერენციის შექმნა დაისახა, და არცაა ყველას მიერ მთავრობად ცნობილი,—ოტტომანის საიმპერატორო დელეგაციის აზრით ამის მხრივ შეუწყნარებელია როგორც უარყოფა, ისე პროტესტის განცხადება ზემოხსენებულ საზავო ხელშეკრულების დებულებაზე. ოტტომანის საიმპერატორო დელეგაციამ შეიტყო, რა ხსენებულ რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გარდაქმნა, სიამოვნებით აღნიშნავს ამ ამბის გამო კავკასიის დელეგაციის მიერ წარმოთქმულ განცხადებებს და მზადაა მასთან მოლაპარაკება გამართოს სამეგობრო ხელშეკრულების დასაცავად. ეს არ დაარღვევს ოტტომანის საიმპერატორო მთავრობის და რუსეთის შორის დადებულ პირობებს, რადგან ამ უკანასკნელმა სცნო თავის ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლება. მაგრამ კავკასიის რესპუბლიკა ოფიციალად ცნობილ იქმნება მხოლოდ საგანგებო დებულებით, რომელიც მოიხსენიება იმ ხელშეკრულებაში, რომელიც უნდა დავსდოთ და რომლის შესაბამად მოლაპარაკების დაწყება შეიძლება მხოლოდ ბათომის, არტაანის და ყარსის სანჯაყებზე ყოველივე პრეტენზიების შესახებ უარის განცხადებით. კავკასიაში ომის გადატანა არ შეიძლება, რადგან რუსეთთან ზავი შეკრული გვაქვს, მაგრამ ბრესტ-ლიტოვსკში დადებული ხელშეკრულება სავალდებულოა იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც ეს-ეს არის ეხლა სდგება. საიმპერატორო მთავრობას ეს ხელშეკრულება ანიჭებს მის მიერ შეძენილ უფლებას და ოტტომანის საიმპერატორო დელეგაცია ჰფიქრობს, რომ კავკასიის დელეგაციას არა აქვს უფლება რაიმე წინააღმდეგობის განცხადებაზე. ვინაიდან ეს საერთაშორისო აქტი ოტტომანის იმპერიას [illegible] უფლებით, რომ ზემოხსენებულ სამ სანჯაყში ახალ წესწყობილების შემოღებაში ჩაერიოს, ამასთან ერთად ავალებს რა რუსეთს ხსენებულ სანჯაყების დაცლას და მათზე ხელის აღებას, ოტტომანის საიმპერატორო დელეგაცია აცხადებს, რომ მისი მთავრობა მზადაა მოიქმედოს ყოველივე ის, რაც საჭიროა ამ ტერიტორიის და კავკასიის ტერიტორიის შორის საურთიერთო ეკონომიურ შეღავათების დასამყარებლად.

პასუხი

ამიერ კავკასიის დელეგაცია ბრესტ-ლიტოვსკში დადებულ ხელშეკრულების სწორუფლებიანობის და ვალდებულობის შესახებ ისევ ძველ თვალსაზრისს იზიარებს.

რაც შეეხება ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ამიერ კავკასიის დელეგაციას აქვს პატივი აუწყოს ოტტომანის საიმპერატორო დელეგაციას, რომ ამიერ კავკასიის სეიმმა ამ წლის მარტის 7-ს (თებერვლის 22-ს) მიიღო შემდეგი დადგენილება: „განიხილა რა საკითხი ამიერ კავკასიის დემოკრატიულ რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ, სეიმმა განსაზღვრულ პირობებში პრინციპიალურად საკითხის გადაჭრა სცნო დადებითად და დაავალა საგანგებო კომისიას მისი მალე შემუშავება. ამიერ კავკასიის დელეგაციას აქვს სრული უფლება იფიქროს, რომ სეიმის დადგენილებაში მოხსენებულია „განსაზღვრულ პირობებში“ პირდაპირ დამოკიდებულია ოტტომანის და ამიერ კავკასიის მთავრობათა შორის მტკიცე ზავის ჩამოგდებაზე, რაც დამყარებულ უნდა იყვეს ორივე მხარისთვის მისაღებ საფუძვლებზე. ამიერ კავკასიის სეიმის დადგენილების თანახმად ასეთ საფუძვლებად ითვლება:

1) ამიერ კავკასიის სეიმი შექმნილ პირობებში სწორუფლებიანად ითვლის თავს ოსმალეთთან ზავის შესაკრელად.

2) ამიერ კავკასიის სეიმი იწყობს რა საზავო მოლაპარაკებას, მიზნად ისახავს ოსმალეთთან საბოლოო ზავის ჩამოგდებას.

3) საზავო ხელშეკრულებას საფუძვლად უნდა დაედოს რუსეთსა და ოსმალეთის შორის იმ არსებულ სახელმწიფოებრივი საზღვრების აღდგენა, რომლებიც ომის გამოცხადებამდის არსებობდნენ.

4) დელეგაცია ეცდება მიიღოს აღმოსავლეთ ანატოლიის ერთათვის თვით გამორკვევის უფლება, კერძოდ კი ავტონომია ოსმალეთის სომხეთისა ოსმალეთის სახელმწიფოებრიობის ჩარჩოებში.

შენიშვნა 1 პუნქტისათვის. ამიერ კავკასიის დელეგაცია საჭიროდ სცნობს განიმეოროს თავის განცხადება ამ წლის მარტის 5 წარმოთქმული, რომ დამოუკიდებელ ამიერ კავკასიის მთავრობის მიერ საზავო ხელშეკრულების დამტკიცების დროს დაცული იქნება ყოველივე წესი, რასაც მოითხოვს საერთაშორისო უფლება.

ამიერ კავკასიის დელეგაცია იმედოვნებს რომ ამ დებულებათა ერთად განხილვა მიიყვანს ორივე მხარეს ესოდენ სასურველ მტკიცე ზავამდე.

ომი

ოსმალთა შემოტევა

მარტის 10 ის ცნობა.

ზღვის სანაპიროებზე მდგომარეობა უცვლელია. 10 მარტს არტილერიით და ტყვიისმფრქვევლებით ოსმალები გადმოვიდნენ ყარაურგანზე. ჩვენი ჯარი ყარაურგანიდან იხევს.

მარტის 11-ს ცნობა.

ადგილობრივ მცხოვრებთა ცნობით ლიმანი დაიჭირა 109 ქვეითი პოლკის 37 დივიზიამ. 109 პოლკის შტაბი და ბატალიონი ხოპშია. აქვეა მცირე ცხენოსანთა რაზმი. მათივე სიტყვით ხოფაში 15 სამთო ზარბაზანი დაუდგავთ. აზრუმის მიმართულებით, ყარაურგანზე წამოსული ოსმალთა ჯარი შესდგება 2 ბატალიონის მიერ, ცხენოსანთა ესკადრონით, რომელიც შეიარაღებულია ზარბაზნებით და ტყვიისმფრქვევლებით.

უკანასკნელი ცნობები

გერმანელებმა ვილჰელმის ხელმძღვანელობით ინგლისის ფრონტზე დიდი შეტევა დაიწყეს. ფრონტი სამგან-ოთხგან გარღვეულია.

—

გერმანიის რეიხსტაგმა ომის საჭიროებათათვის 15 მილიარდი გაიღო.

—

ესპანეთში ახალი კაბინეთი შედგა.

—

გერმანელებმა ვილნო დამოუკიდებელ სახელმწიფოს სატახტო ქალაქად გამოაცხადა.

—

უკრაინის რადა გერმანელებმა მთავრობად გამოაცხადეს.

ქრონიკა

თბილისი.

◆ კავკავში ფქვილის გადმოსაზიდად გაგზავნილი ავტომობილები თბილისში დაბრუნდა. ეს ავტომობილები მეტად დაზიანებულია იქ უკანასკნელად მომხდარ ამბების დროს. ამ ჟამად კავკავი ბოლშევიკების ხელშია და ავტომობილებიც მათ გამოუშვიათ. არ არის განთავისუფლებული მხოლოდ შოფერი როლოვი და მისი ავტომობილი, რომელიც ოსებმა ჩაიგდეს ხელში.

◆ ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა სასურსათო კომისიის წინაშე, რათა თბილისის სურსათის საქმე გამოყოფილ იქმნეს საგუბერნიო კომიტეტიდან და ისეთივე უფლებით იქმნას აღჭურვილი ქალ. თვითმმართველობა, როგორც გუბერნიის სასურსათო კომიტეტი.

◆ რკინის გზის მილიციის უფროსის თანაშემწედ დაინიშნა ბერძენიშვილი.

◆ მილიციის უფროსი მოუწოდებს ყველა მილიციონერებს, რომ მათ თვალყური ადევნონ ავტომობილებს, რათა შოფერებმა ჩქარა არ ატარონ, რასაც ბევრი მსხვერპლი მოსდევს. ის შოფერი, რომელიც სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს და საათში 13—14 ვერსზე მეტს გაივლის სასტიკად დაისჯებიან.

◆ „ამირანი“-ს საზოგადოება აარსებს მომღერალ ქალ. [illegible] გუნდს, რის მოწყობაც დაევალა ვიოლონჩელისტს ილიკო აბაშიძეს.

— ილ. აბაშიძეს გადაუწყვეტია გუნდი მოიწვიოს თვიურ ჯამაგირზე და არჩევით.

საზოგადოებანი და კრებები

◆ ხუთშაბათს, 15 მარტს, საღამოს 7 საათზედ სადგილ-მამულო ბანკში დანიშნულია მწერალთა საბჭოს კრება. საბჭოს თავმჯდომარე სთხოვს ყველა წევრს უსათუოდ დაესწროს ამ კრებას.

პარტიული ცხოვრება

◆ პარტიის სასარგებლოდ ერთი დღის შემოსავალი შემოიტანეს: ოლღა ხერხეულიძისამ 25 მან., ზაქ. ნიჟარაძემ 5 მან., ქეთო ქარუმიძემ 10 მან., ალ. დოროდაშვილმა 15 მან. და №-მა 8 მან.

ამიერ-კავკასიის მთავრობის შედგენა

ამიერ-კავკასიის მთავრობაში შედიან: ევ. გეგეჭკორი—ამიერ კავკასიის კომისარიატის და სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელი. შინაგან საქმეთა—ნ. რამიშვილი, გარეშე საქმეთა—ა. ჩხენკელი, სამიწადმოქმედო—ხომერიკი, ფინანსებისა—ქარჩიკიანი, სახ. განათლებისა—უზუბეკოვი, იუსტიციისა—ხან-ხოილი, სასურსათო—ა. ხატისოვი, სავაჭრო და მრეწველობის—მ. ჰაჯინსკი, საზღვაო—გ. გობეჩია, შრომისა—გ. ტერ-ჰაზარიანი, ფოსტა-ტელეგრაფისა—ლ. ბებუთოვი, სახელ. მზრუნვ.—ა. ოჰანჯანიანი, სახელმწ. კონტროლისა—ი. ჰაიდაროვი და უპორტფელო—ო. კაჩაზნუნისა.

თელავის ამბების გამო

ყველას კარგად მოეხსენება, რომ პრესა, ნამეტნავად პარტიული, არის ავტორიტეტული ხელმძღვანელი ორგანო განსაზღვრულ მიმართულებისა, იგი მატარებელია მისი სულის კვეთების, მისწრაფების ლტოლვილების და როგორც ასეთი მუდამ გარკვეულ ზნეობრივ სიმაღლეზედ სდგას. ლიტერატურული ეთიკა, სიფაქიზე, სიფრთხილე აუცილებლად მუდმივი თანამგზავრი უნდა იყვეს ყოველ პოლიტიკურ მოღვაწეობისა, რათა ფართე საზოგადოებამ ჭეშმარიტად გაითვალისწინოს აზრთა მიმდინარეობა და ევოლუცია. წინააღმდეგ შემთხვევაში პრესა, მწერლობა უბრალო ქუჩურ ლანძღვა-გინების წყაროდ იქცევა და თავის თვალსაჩინო მნიშვნელობას დაკარგავს. ეს მორალური კოდექსი ნამეტნავად დაცულ უნდა იყვეს დღეს, როდესაც ხალხი საშინელ ანარქიის ალშია გახვეული და, შესაძლებელია, ერთმა წინდაუხედავად წამოსროლილმა სიტყვამ საბედისწერო შედეგამდის მიიყვანოს იგი. მაგრამ „ერთობის“ ზოგიერთ თანამშრომელ-კორესპონდენტთათვის ეს საანბანო ჭეშმარიტება სავალდებულო არ ყოფილა და ისეთ პროვოკაციულ ცნობებს აწვდიან საზოგადოებას, რომლებიც ძველ რუსეთის „სახელოვან მოღვაწეებსაც-კი“ განცვიფრებაში მოიყვანდა. „ერთობის“ № 57 მოთავსებულია ვიღაც „მეთვალყურის“ წერილი ამ სათაურით: თელავის ამბების გარშემო. ეს წერილი ღირსი არც კია პასუხისა, იმდენად გაჟღენთილია იგი წვრიმალი ღვარძლიანობით, მაგრამ რადგანაც აუცილებლად მიმაჩნია ფაქტების ჭეშმარიტი გაშუქება და გადაშლა საზოგადოების თვალ წინ, ამიტომ ჩემს პირად თავმოყვარეობას მხარს ავუქცევ და ვეცდები შეძლების და გვარად დავანახო „მეთვალყურეს“ თვისი შეუწყნარებელი უზურპატორული ფანდები. ზემოდ აღნიშნულ წერილში ავტორი ცდილობს თელავში მომხდარ ანარქიის ბრალდება ეროვნულ-დემოკრატებს მოახვიოს კისერზე და ეს გაიხადა თავის პუბლიცისტურ ნიჭის სათარეშო ასპარეზად. იგი ეკითხება: რატომ ჩაეწერნენ პოლკში ეროვნულ-დემოკრატი სტუდენტები ვ. ცაცქიშვილი, გ. მაისურაძე და ი. შოშიაშვილი თუ მათ ცუდი განზრახვა არ ჰქონდათო. თურმე მეთვალყურეს აზროვნებით ჯარში გასვლა დღევანდელ მომენტში, როდესაც გარეშე მტერი ჩვენს სამშობლოს კარს მოსდგომია და ემუქრება მას განადგურებით, სიბოროტედ მიაჩნია. მაქვს პატივი მოვახსენო უცნაურ „მეთვალყურეს“, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტუდენტები ჯარში ჩაეწერნენ წესიერების შესატანად, მეტს ვიტყვი, მათ სურდათ „მეთვალყურისა“ და მისთანა ვაჟბატონების პროპაგანდის წყალობით [illegible] ჯარის [illegible], რათა პირადის მაგალითით ეჩვენებინათ რაში მდგომარეობს მოვალეობა ჯარისკაცისა მამულის წინაშე და სხვა არავითარ პარტიულ ტენდენციების დაყენებას მათის მხრივ ადგილი არ ჰქონია, რასაც დაადასტურებს გამოძიება. ამ გვარ გულწრფელ სურვილებისთვის ისინი თვალწუნებული ჰყავდა ჯარს, ეძახდენ მათ „ბურჟუაძეებს“ გამყიდველებს, მოღალატეებს, ძველ რეჟიმის მომხრეებს (დისციპლინის ქადაგებისთვის) და სხვ. რამდენჯერმე მათი დახოცვაც კი განიზრახეს. ნუ თუ ყველაფერი ეს გამოეპარა ბ-ნ „მეთვალყურეს“ მახვილ ყურს?

გადავალ მეორე ბრალდებაზე. ავტორი „უწმიკვლო და უბრალო“ ეპოპეისა გვეკითხება: „რატომ ირეოდენ ნაციონალ დემოკრატების ბიუროში ხულიგანი სალდათები, რა ჰქონდათ საერთო მათთანაო“. როდის უნახავს ჩვენ ბიუროში ხულიგანი ჯარისკაცები, არ ვიცი; მაგრამ იქნებ ერთმანეთში აერია ჩვენი და თავიანთი ბიუროები. სად დაიარებოდნენ ეს დახვრეტილი ჯარისკაცები, აჯანყების მეთაურნი გუბელაძე და შაშვიაშვილი ჩვენსა თუ თქვენსა ბ-ნო მეთვალყურე? მე მგონია არც ისეთი გულმავიწყი ბრძანდებით და ადვილად მოიგონებთ.

მესამე ბრალდება ბ-ნ მეთვალყურისა შემდეგია: „რატომ თხოულობდენ ნაციონალ-დემოკრატების წევრები თარხნიშვილი და მჭედლიძე მცარცველი ჯარისკაცების სახელით კომისრობასაო?“ უნდა მოვახსენო ავტორს, რომ გ. მჭედლიძე ჩვენი პარტიის წევრი არ არის; რაც შეეხება თარხნიშვილს, საქმე მდგომარეობდა შემდეგში: როდესაც პოლკის უფროსმა დაინახა, რომ თელავში მოისპო ყოველგვარი ადმინისტრატიული ძალა და ალაგმახსნილ მცარცველებს ფართო ასპარეზი გაეშალათ, მან სთხოვა თარხნიშვილს დროებით ეკისრა ქალაქის თავდაცვის მეთაურობა; მართლაც, მთელ პოლკში მხოლოდ მას ჰყავდა წესიერათ მოწყობილი როტა და ამიტომ მხოლოდ მას შეეძლო რაიმე ფიზიკური ძალა მიეწოდებინა ქალაქისათვის გაძარცვის დროს. (სხვათა შორის ამ როტას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია კომისარიატის დანგრევაში). ეხლა მიბრძანეთ რაში სტყუის ან პოლკის უფროსი ან თარხნიშვილი? დასასრულს მინდა ერთი რამ აღვნიშნო, იგი გვეუბნება: „ჯერ გამოქვეყნილი ბრალდება არავის არავისთვის წაუყენებია, რადგან კომისია ეხლა შეუდგა გამოკვლევასაო“ მაგრამ „ქურდს ქუდი ეწვისო“ დაასკვნის ავტორი. თუ მართლა კატეგორიული ბრალდება არავისთვის წამოუყენებიათ, მაშ რატომ დაარბიეს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ბიურო, რათ ესროლეს მღ. ალადაშვილს, რათ სდევნიდნენ პარტიის მეთაურებს? იქნებ ეს განკერძოებული ბოროტება იყო? მაშ რატომ არ მოჰკითხეს პასუხი და არ დასაჯეს ამ საქმის ჩამდენი ჯულაშვილი და გაბიცინაშვილი? ამის შემდეგ კიდევ გყოფნით თავხედობა და გვიკიჟინებთ ჯერ ბრალი არ დაგვიდვიაო, რადგან ეხლა შესდგა საგამომძიებლო კომისიაო?

თელავის ამბების გაშუქება „ერთობის“ ფურცლებზედ ნათლად ამტკიცებს რომ კორესპონდენტობას გარდა წერა-კითხვის ცოდნისა საჭიროა უნარი ფაქტების ობიექტიური და გონივრული დაფასებისა, რაც სამწუხაროდ ბ-ნ „მეთვალყური“-ს აკლია.

სხვა დროს და სხვა პირობებში ამ გვარ „პუბლიცისტიკას“ ადამიანი ღიმილით გვერდს აუხვევდა, მაგრამ დღეს კი საჭიროა იცოდეს ყველამ რომ ამისთანა „მეცნიერული წერილები“ ჰქვებავს, ზრდის იმისთანა ხულიგანებს და ნაძირალებს, რომელთაც დღევანდელი ცხოვრება ფართო სათარეშო ასპარეზს აძლევს არა მარტო თელავში არამედ მთელ საქართველოში.

გ. ყორჩიბაშ.

კალენდარი

ოთხშაბათი, მარტის
14

მე-10 დღე დიდ მარხვისა.

ქართვ. ღირსისა მამისა ჩვენის ბენედიქტესი, წმ. ევსხიმონისა.

კათოლ. წმ. მატილდასი და პეტრესი.

მაჰმად. ჩარ შამბე 13 რ. ჯემადულახირ 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომრევიყი 13 რ. ნისანი 5678 წ. ქვეყნ. შექმნ.